საექსპერტო დასკვნა - „მრავალფუნქციური შენობა ბ.ხმელინცკის ქუჩაზე

March 14

2018

საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას.საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 47-ემუხლით (მუხლი 47." არქიტექტურული პროექტის შენდგენლობა") განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ბ. ხმელინცკის ქუჩაზე (ს/კ 01.17.11.027.073) მდებარე მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური მაღლივი შენობის არქიტექტურული პროექტის შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“.

ქ. თბილისში, ბ. ხმელინცკის ქუჩაზე (ს/კ 01.17.11.027.073) მდებარე მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური მაღლივი შენობის არქიტექტურული პროექტი შეასრულა არქიტექტორმა : **გიორგი გეგელაშვილმა**

საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია:
მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 47-ემუხლით (მუხლი 47." არქიტექტურული პროექტის შენდგენლობა") განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას ტექნიკურ რეგლამენტთან - "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები" შესაბამისობაზე საქარველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილების („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) **მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის** მიხედვით.

1. შენიშვნები

შენიშვნა№	განმარტება

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბმისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-

ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

1. ტერმინები და განმარტებები

ტერმინი №	განმარტება

1. წესები - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები.
2.შშმ - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

• პროექტის აღწერილობა

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ბ.ხმელინცკის ქუჩაზე (საკადასტრო კოდი 01.17.11.027.073), მიწის ნაკვეთი ფართობი შეადგენს 1564 კვ.მ-ს. ტერიტორიას ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან ესაზღვრება არსებული მიწის ნაკვეთები, აღმოსავლეთით მდებარე კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მიმდინარეობს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, სამხრეთის მხრიდან ტერიტორიას ესაზღვრება ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩა და ნაწილობრივ თბილისის თვითმმართველობის ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, ხოლო დასავლეთის მხრიდან ასევე თბილისის თვითმმართველობის ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი - საზოგადოებრივი სივრცე. ნაკვეთი გეომეტრიულად წარმოადგენს რთული ფორმის მრავალკუთხედს.
მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფია თითქმის სწორია, ნიშნულებს შორის მაქსიმალური სხვაობა არის 0,40 მ. ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებებითა და ფეხმავალთა მისვლა ამჟამად ხდება არსებული ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩიდან.

საპროექტო შენობა წარმოადგენს მრავალფუნქციურ საცხოვრებელ სახლს, რომლის მიწისქვეშა სართულზე საპროექტო შენობის კონტურში მოწყობილია შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი. პირველ და ნაწილობრივ მეორე სართულებზე განთავსებულია კომერციული დანიშნულების ფართობები; მე-2, მე-3 და მე-4 სართულები განკუთვნილია ოფისებისთვის; მე-5-დან მე-12-ე სართულის ჩათვლით განთავსებულია საცხოვრებელი ბინები.
შენობას ემსახურება ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი კიბის უჯრედი, განცალკევებული შესასვლელით და ერთი ლიფტი, რომელიც განსაზღვრულია შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მიხედვით შესაბამისად საკაცის მოსათავსებლად. კიბის უჯრედები შემოსაზღვრულია ორ საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით (სამშენებლო მასალიდან გამომდინარე) და იგი დერეფანს უკავშირდება 90 წთ ცეცხლმედეგობის მქონე კარის საშუალებით (რაც შეესაბამება წესების 716.5 ცხრილის მოთხოვნებს). შენობა მთლიანად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, სახანძრო მილდგარების სისტემით, კვამლის საკონტროლო სისტემით, სახანძრო განგაშის სისტემით და ხელის ცეცხლმაქრებით.

საპროექტო შენობაში არის 40 საცხოვრებელი ბინა, საიდანაც1 ბინა არის ადაპტირებული შშმ პირებისათვის. ყველაზე პატარა ბინა არის 40,00 მ2 (აივნის გარეშე) რომელშიც განთავსებულია სველი წერტილი და სამზარეულო.

შენობის გადახურვის ტიპი არის ბრტყელი (ქანობით მაქს. 5%), გადახურვის ბურულად გამოყენებულია გუდრონის რულონური მასალა.

• ძირითადი ნაწილი

1. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება.

პროექტი ითვალისწინებს საპროექტო შენობაში განსათავსებელ თითოეული ტიპის დაკავებულობისთვის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრულ ყველა დეტალურ მოთხოვნას, დაკავებულობები არის კლასიფიცირებული მე-3 თავის მიხედვით და შეესაბამება წესების **302-ე ქვეთავს.**

პროექტში გამოყენებულია საცხოვრებელი **(სც-2)**, სასაწყობო **(სწ-2)** საქმიანი **(სქ)** და სავაჭრო **(სვ)** ჯგუფის დაკავებულობები, კერძოდ:

1. საცხოვრებელი ჯგუფის ქვეჯგუფი **სც-2,** წესების **310.4 ქვეთავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებს საცხოვრებელ ან საძინებელი ერთეულებით, სადაც დამკავებლები მუდმივად ცხოვრობენ.

პროექტის მიხედვით აღნიშნული დაკავებულობები განთავსებულია შენობის **+13,50; +16,80; +20,10; +23,40; +26,70; +30,00; +33,30; +36,60** ნიშნულებზე გათვალისწინებულ სართულებზე.

საცხოვრებელი ერთეულები დაგეგმარებულია წესების **1208** ქვეთავის გათვალისწინებით, კერძოდ თითოეული საცხოვრებელი ერთეული შეესაბამება **1208.1 ქვეთავით** განსაზღვრულ ოთახის მინიმალური სიგანის მოთხოვნას (პროექტის მიხედვით მინიმალური სიგანე 3,0 მეტრი), **1208.2 ქვეთავით** განსაზღვრულ ჭერის მინიმალური სიმაღლის მოთხოვნას (პროექტის მიხედვით მინიმალური სიმაღლე 2,9 მეტრი) და **1208.4 ქვეთავის** მოთხოვნას კომპაქტურ საცხოვრებელ ერთეულთან დაკავშირებით (ბინის მინიმალური ფართობი 40,00კვ.მ), ასევე საცხოვრებელ ერთეულებში დაცულია მე-12 თავით განსაზღვრული სხვა მოთხოვნებიც შიგა გარემოსთან დაკავშირებით.

თითოეული საცხოვრებელი ფართობი(ბინა) ერთმანეთისაგან გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე) თარაზული ანაწყობით და მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით, რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში** და **420 ქვეთავში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სც-2 დაკავებულობისთვის, განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი-**18.6**, **1004 ქვეთავის** და **1004.1.2 ცხრილის** მიხედვით, შესაბამისად თითოეულ სართულზე განსაზღვრულია საერთო დაკავებულობის დატვირთვა, რაც მეხუთე-მეათე (ტიპური) სართულებისთვის შეადგენს **18** დამკავებელს, მეთერთმეტე სართულისთვის შეადგენს **14-ს**, ხოლო მეთორმეტე სართულისთვის **6** დამკავებელს.

წესების **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, საცხოვრებელი ჯგუფი **(სც-2)** ქვედა სართულებზე მდებარე **(სც-2)** ჯგუფის დაკავებულობებისგან, გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა) თარაზული ანაწყობით, რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2. სასაწყობო ჯგუფის ქვეჯგუფი **სწ-2** (შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი -2.75 ნიშნულზე) წესების **311.3 ქვეპუნქტის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობებს, სადაც არაწვადი მასალები ინახება და მიეკუთვნება მცირე საფრთხის შემცველ სასაწყობო ჯგუფს.

ავტოსადგომი აკმაყოფილებს წესების **406.5.3 ქვეთავის** მოთხოვნებს, კერძოდ:
406.5.11 ქვეთავით განსაზღვრულ აკრძალვებს.
წესების **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრულ განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავებს (ავტოსადგომი სავაჭრო დაკავებულობისაგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე) თარაზული ანაწყობით და კედლებით რაც აღემატება **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ ცეცხლმედეგობის ხარისხს (1 საათი ავტოსაშხეფი სისტემის გამოყენების დროს).

აღნიშნული ავტოსადგომი ასევე აკმაყოფილებს წესების **406.9.3 ქვეთავის** მოთხოვნებს ავტოსადგომზე ავტომობილისთვის განკუთვნილი ადგილის ზომებთან დაკავშირებით - ავტოსადგომი ადგილების სიგანე რამდენიმე ადგილას აღემატება მოთხოვნილ მინიმუმს (2.5 მეტრი) და შეადგენს მინიმუმ 2.7 მეტრს, ხოლო სიგრძე აკმაყოფილებს მოთხვნილ მინიმუმს (5.5 მეტრი) და შეადგენს 5.5 მეტრს. ავტოსადგომზე საავტომობილო გზის სიგანე მოწყობილია **406.9.4 ქვეთავის** შესაბამისად, განსაზღრულია ცალმხრივი მოძრაობა, შესვლა და გამოსვლა ხდება 9-10 ღერძებს შორის მდებარე მინიმუმ 3.6 მეტრი სიგანის შესასვლელით (პანდუსით).
ავტოსადგომ ადგილებს შორის დატოვებულია **406.9.4.3 ქვეპუნქტით** განსაზღვრული 6 მეტრიანი გასავლელი, რომელიც მოიცავს 3.6 მეტრიან გზას.

სწ-2 დაკავებულობისთვის, განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი-**18.6**, **1004 ქვეთავის 1004.1.2 ცხრილის** მიხედვით და დაკავებულობის დატვირვა შეადგენს **45** დამკავებელს.

3. სავაჭრო ჯგუფი **სვ** (კომერციული ფართობები 0.00 და +3.60 ნიშნულზე) **წესების 309.1 ქვეთავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს ისეთ შენობებს და ნაგებობებს, სადაც გამოფენილია და იყიდება საქონელი, ასევე, განთავსებულია ამგვარი საქონლის მარაგი, ნაკეთობები და სავაჭრო საქონელი და მისაწვდომია საზოგადოებისთვის.

მიწისპირა სართულზე განთავსებულია 4 დამოუკიდებელი სავაჭრო ერთეული და მათ ფარგლებში განთავსებული სასაწყობო ფართობები. **სვ** დაკავებულობისთვის, **1004.1.2 ცხრილის** მიხედვით გამოთვლილია დაკავებულობის დატვირთვა, დაკავებულობის ფაქტორი მიწისპირა სართულზე განთავსებული სავაჭრო ფართობებისთვის განსაზღვრულია, როგორც ცხრილში მოცემული მიწის დონის ქვედა და მიწისპირა იატაკებისთვის **2.8,** ხოლო საწყობებისთვის განსაზღვრულია ცხრილის მიხედვით **27.9**, საერთო ჯამში პირველ (მიწისპირა) სართულზე არსებული **სვ** ჯგუფის დაკავებულობის დატვირთვა ჯამურად შეადგენს **206** დამკავებელს.

მიწის დონის ზედა, მეორე სართულზე განთავსებული **სვ** ჯგუფის დაკავებულობისთვის დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი ცხრილის მიხედვით განსაზღვრულია **5,6** და შეადგენს **27** დამკავებელს.

წესების **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, სავაჭრო ჯგუფის **(სვ)** დაკავებულობა, როგორც უკვე აღინიშნა მის ქვემოთ მდებარე **(სწ-2) და** ზედა სართულებზე მდებარე **(სქ)** ჯგუფის დაკავებულობებისგან, გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა) თარაზული ანაწყობით, რაც შეესაბამება **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. საქმიანი ჯგუფი **სქ** (საოფისე ფართობები +3.60, +6.90, +10.20 ნიშნულზე) წესების **304.1 ქვეთავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობის ან ნაგებობის, ან მისი ნაწილის გამოყენებას საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობებისთვის, მათ შორის, ჩანაწერებისა და ანგარიშების შესანახად.

მეორე, მესამე და მეოთხე სართულებზე განთავსებულია 3-3 საოფისე ერთეული. **სქ** ჯგუფის დაკავებულობისთვის, **1004.1.2 ცხრილის** მიხედვით გამოთვლილია დაკავებულობის დატვირთვა, დაკავებულობის ფაქტორი საოფისე ფართობებისთვის აღებულია, როგორც ცხრილში მოცემული - **9.3**, რაც ჯამურად თითოეული სართულისთვის შეადგენს **36** დამკავებელს.

წესების **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, საქმიანი ჯგუფი **(სქ)**ზედა სართულებზე მდებარე **(სც-2)** ჯგუფის დაკავებულობებისგან, გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა) თარაზული ანაწყობით, რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

პროექტის მიხედვით განსაზღვრული დაკავებულობები შერჩეულია წესების შესაბამისად და მათი დატვირთვები სწორად არის გამოთვლილი **1004,1.2** ცხრილის მიხედვით.

დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება.

შენობა-ნაგებობის უსაფრთოხების წესების მიხედვით საპროექტო შენობისთვის გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის (განსაზღრულია **721.1 ცხრილის** მიხედვით) და შენობაში არსებული დაკავებულობის საფუძველზე შენობისთვის განსაზღრულია **I-B** კონსტრუქციის ტიპი.

შენობის ელემენტები-ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო (გაძლიერებული ბეტონის სვეტები და კოჭები), იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა), სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა დასრულებული ბრტყელი გადახურვის კონსტრუქციით) აკმაყოფილებს **601 ქვეთავს, 601 ცხრილის** მოთხოვნებს, პროექტის მიხედვით ზემოთ აღწერილი ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი **721 ქვეთვაში** აღწერილი მასალათა სპეციფიკაციიდან გამომდინარე შეადგენს მინიმუმ 2 საათს და შეესაბამება **601 ცხრილში IB** კონსტრუქციის ტიპისთვის მოთხოვნილ 2 საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს.

გარე კედელბის ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან და გარე კედელბის სამშენებლო მასალიდან გამომდიანრე, რაც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება აღწერილი.

კონსტრუქციის ტიპების შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

საპროექტო შენობის სიმაღლე და ფართობი განსაზღვრულია **წესების მე-5 თავის 503 - ცხრილის** მიხედვით შენობაში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე შენობის ყველა ნაწილი აკმაყოფილებს განსაზღვრულ მოთხოვნებს.

უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო შენობა შეესაბამება წესების **202 ქვეთავში** განმარტებული **მაღლივი შენობის** კატეგორიას. შენობის ბოლო დაკავებული იატაკი მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან (-0.30=382,0 ნიშნულიდან) **23 მ**-ზე ზემოთ, თუმცა არ აღემატება **36.9** მეტრს, რის გამოც შენობა არ საჭიროებს წესების **403.6.1 ქვეთავით** განსაზღვრულ სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მისადგომ ორ ლიფტს.

იქიდან გამომდინარე რომ, საპროექტო შენობა აკმაყოფილებს **I-B** კონსტრუქციის ტიპისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, **503-ე ცხრილის** მიხედვით შენობის დასაშვები სიმაღლე არის **48,8** მეტრი, შემოთავაზებული სიმაღლე კი შეადგენს **40.1** მეტრს რაც განსაზღვრულია მიწის დონის ნიშნულიდან **(382.0 მ).** თითოეული სართულის დასაშვები ფართობი არსებული დაკავებულობებისთვის **სც-2-სთვის** შეუზღუდავია, **სწ-**

2-სთვის 7340 კვ.მ. **სვ-სთვის** შეუზღუდავია და **სქ-სთვის** შეუზღუდავია. სართულების დასაშვები რაოდენობა შენობაში არსებული დაკავებულობებისთვის **(სც-2, სვ, სქ და სწ-2**) არის **11.**

საპროექტო შენობის შემოთავაზებული სართულიანობაა მიწის ზემოთ **12 სართული** და მიწისქვეშა ერთი სართული, აქედან მიწისქვეშა სართულზე განთავსებულია **სწ-2** ჯგუფის დაკავებულობა, მიწის ზევით ორ სართულზეა განთავსებული **სვ** ჯგუფის დაკავებულობა , სამ სართულზეა განთავსებული **სქ** ჯგუფის დაკავებულობა და რვა სართულზეა განთავსებული **სც-2** ქვეჯგუფის დაკავებულობა. შემოთავაზებული სიმაღლე გამოთვლილია წესების მიხედვით და შეადგენს **40.10 მეტრს (შენობის სიმაღლე განსაზღვრულია მიწის დონიდან, რომელიც შეესაბამება -0.30=382.00 ნიშნულს).**

პროექტის მიხედვით -3.00 ნიშნულზე განთავსებულია ღია ავტოსადგომი გარაჟი **სწ-2,** რომლის იატაკის ფართობი შეადგენს **843 კვ.მ-ს.** 1-2 სართულებზე (0,00; +3,60; ნიშნულებზე) განთავსებულია სავაჭრო ჯგუფის დაკავებულობა **სვ,** რომლის იატაკების ჯამური ფართობი შეადგენს **748 კვ.მ-ს.** მე-2, მე-3, მე-4 სართულებზე +3,60; +6,90;+10,20 ნიშნულზე განთავსებული საქმიანი ჯგუფის დაკავებულობები **სქ**, რომლის იატაკების საერთო ფართობი შეადგენს **1020 კვ.მ** , ხოლო მეხუთედან მეთორმეტე სართულების ჩათვლით +13,50; +16,80; +20,10; +23,40; +26,70; +30,0; +33,30; +36,60 ნიშნულებზე განთავსებულია საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობა **სც-2** , რომლის იატაკების საერთო ფართობი შეადგენს **2376 კვ.მ.**

სიმაღლისა და ფართობის შეფასება *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასავლელამდე სავალი მანძილის, ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასავლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე **მე-10 თავის** შესაბამისად.

წესების **მე-10 თავის 1021.2 ქვეპუნქტის,** და **1021.2(1) ცხრილიდან** გამომდინარე შენობას ემსახურება ორი შიგა გასავლელის გზა კიბე, რომელიც აკმაყოფილებს **403.5.1 ქვეპუნქტის** მოთხოვნებს შიგა გასასვლელის გზა-კიბეების დაშორებულობასთან დაკავშირებით (მანძილი შეადგენს 10.2 მეტრს) და ასევე **1009.3** ქვეთავით განსაზღრულ მოთხოვნას გზა-კიბეების ცეცხლმედეგი კედელბით შემოზღუდვასთან დაკავშირებით. შიგა გასასვლელის გზა კიბეები აკმაყოფილებს წესების **403.5.4 ქვეთავის** მოთხოვნებს გასასვლელის კვამლგაუმტარი შემომზღუდავების მიმართ, რომლებიც მოწყობილია წესბის **909.20** და **1022. 10** ქვეთავების შესაბამისად.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შიგა გასასვლელის გზა კიბეებიდან, „12-13“ და „ბ-გ“ ღერძების კვეთაზე მდებარე გზა-კიბე პირველ (მიწისპირა) სართულზე (0.00 ნიშნულზე) გრძელდება წესების **1023 ქვეთავით** მოწყობილი გზა დერეფნით და სრულდება შენობიდან გამოსასვლელი გზა-კარებით, ხოლო „10-11“ და „გ-დ“ ღერძების კვეთაზე მდებარე გზა-კიბე გრძელდება **1027.1 ქვეთავის პირველი** გამონაკლისი მიხედვით მოწყობილი დერეფნით და სრულდება შენობიდან გამოსასვლელი გზა-კარებით.

გასასვლელები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

-2,75 ნიშნულზე არსებულ შემოზღუდულ ავტოსადგომ გარაჟს დაკავებულობის დატვირთვიდან (45 დამკავებელი) და გასასვლელამდე სავალი მანძილიდან (**43** მეტრი) გამომდინარე **(45)** ემსახურება ერთი გასასვლელის გზა-კიბე, რაც აკმაყოფილებს წესების **1021.2.(2) ცხრილის** მოთხოვნებს მიწის დონის ქვედა სართულების გასასვლელებთან დაკაშირებით.

პირველ, მიწისპირა სართულზე განთავსებული დაკავებულობიდან გამომდინარე (4 დამოუკიდებელი, ერთმანეთისგან გამოყოფილი **სვ** ჯგუფის კომერციული ფართობები) განსაზღვრულია შვიდი გასასვლელი გზა-კარი, თითოეული ღიობის ნაწილში გამოყოფილია 1.2 მეტრის სიგანის საფეხმავლო ბილიკი, რომლითაც ხდება შენობიდან დამკავებლების შესვლა-გამოსვლა.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით მეორე სართულზე (+3.60 ნიშნული) განთავსებულ **სვ** ჯგუფის დაკავებულობას, დაკავებულობის დატვირთვიდან **(27 დამკავებელი)** და გასასვლელამდე სავალი მანძილიდან **(18 მეტრი)** გამომდინარე ემსახურება ერთი შიგა გასასვლელის გზა-კიბე, რომელიც მიწისპირა სართულზე გრძელდება წესების **1023 ქვეთავით** მოწყობილი გზა-დერეფნით და სრულდება გასასვლელის გზა-კარით.

მესამე სართულის ზემოთ (მეთორმეტე სართულის ჩათვლით) ყველა სართულისთვის განსაზღვრულია ორი შიგა გასასვლელი გზა-კიბე. როგორც უკვე აღინიშნა, გზა-კიბეები შემოზღუდულია ცეცხლმედეგი კედლებით, კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს 2 საათს, რაც აკმაყოფილებს **1009.3.1.1 ქვეთავით** განსაზღვრულს, ხოლო ჩიხური დერეფნების სიგრძე არ აღემატება 6 მეტრს, რაც აკმაყოფილებს **1018.4 ქვეთავის** მოთხოვნებს ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებით.

გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილები არ აღემატება დაშვებულ **75** მეტრს და აკმაყოფილებს წესების **1016.2 ცხრილის** მოთხოვნებს. გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია წესების **1009 ქვეთავის** შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გასასვლელთან მისადგომი დერეფნები მოწყობილია **1018 და 1023 ქვეთავის,** ხოლო გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია **1008 ქვეთავის** მოთხოვნების შესაბამისად, ყველა მათგანი აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას, რასაც ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავთ.

ყველა გასასვლელი გრძელდება **1027 ქვეთავის** მიხედვით მოწყობილი შენობიდან გამოსასვლელით და სრულდება საზოგადოებრივ გზაზე.

გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან

გამოსასვლელების შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება.

როგორც ზემოთ აღინიშნა გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია წესების **1009 ქვეთავის** შესაბამისად. გზა-კიბეების მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1009.4 ქვეთავის** და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის **(36 დამკავებელი)** მიხედვით, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.1.** ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი **(5,1 მმ).** პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია დასაშვებ მინიმუმზე **(0,9 მ)** მეტი სიგანის გზა-კიბე **(1.2 მ)** და მიღებული სიგანე შენარჩუნებულია შენობის ყველა სართულისთვის. გზა-კიბეები ასევე აკმაყოფილებენ წესების **1009.7, 1009.8** და **1009.15** ქვეთავების მოთხოვნებს, კიბის საფეხურებთან, ბაქნებთან და სახელურებთან დაკავშირებით (იხილეთ გზა-კიბის დეტალური ნახაზი). გზა-კიბეებში შემავალი და მიწისპირა სართულზე შენობიდან გამოსასვლელი გზა-კარები მოწყობილია **1008 ქვეთავის** მიხედვით და ასევე აკმაყოფილებს წესების **716.5 ქვეთავის** მოთხოვნას, ცეცხლმედეგ კედელში ჩასმულ ღიობებთან დაკავშირებით, რადგან **1009.3.1.1 ქვეპუნქტის** მიხედვით გზა-კიბის ცეცხლმედეგ ზღუდეს მოეთხოვება 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, შესაბამისად მასში ჩამსული გზა-კარის ცეცხლმედეგობის ხარისხი 90 წუთია.

გასასვლელების სისტემაში შემავალი დერეფნები მოწყობილია **1018 ქვეთავის** შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. დერეფნებში **1018.1 ცხრილის** მიხედვით დაყენებულია **903 ქვეთავის** მიხედვით მოწყობილი ავტოსაშხეფი სისტემა ხოლო დერეფნის კედლელბის ცეცხლმედეგობის ხარისხი გათვალისწინებულია დასაშვებ მინიმუმის **(1 სთ)** შესაბამისი - **1 საათი.** დერეფნის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1018.2** ქვეთავის და თითოეულ სართულზე დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებლის მიხედვით, დერეფნების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2. ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი **(3,8 მმ).** პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია დასაშვებ მინიმუმზე **(0,9 მ)** მეტი სიგანის დერეფანი - **მინ. (1,3 მ).**

გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია **1008 ქვეთავის** შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1008.1.1 ქვეთავის** და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2**. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი **(3,8 მმ).** გასასვლელის გზა-კარების სუფთა მინიმალური სიგანე შეადგენს **0.82 მეტრს,** ხოლო არსებული პროექტით, გასასვლელბის სისტემაში შემავალი ყველა გზა-კარების სუფთა თავისუფალი სიგანე შეადგენს მინიმუმ **0.85 მეტრს**.

ასევე უნდა აღინიშნოს რომ ცეცხლმედეგ კედლებსა და ტიხრებში ჩასმული ყველა გზა-კარი აკმაყოფილებს **716.5 ქვეთავის** მოთხოვნას ღიობის ცეცხლმედეგობასთან დაკავშირებით.

შენობის სართულებზე არსებული თითოეული დაკავებულობისთვის და იმ სივრცეებისთვის, რომლებშიც ეს დაკავებულობები ფუნქციონირებენ გასასვლელების და გასავლელების (ავეჯებს შორის-საცხოვრებელ, სავაჭრო, საქმიან ერთეულებში) რაოდენობა (**1021 ქვეთავის** მიხედვით) და გამტარუნარიანობა განსაზღვრულია **1008 ქვეთავის**, დაკავებულობის დატვირთვის (**1004 ქვეთავი)** და **1005.3.2**. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორის **(3,8 მმ)** მიხედვით, ყველა კარი აკმაყოფილებს განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნას.

ასევე წესების **1017.5 ქვეთავის** მოთხვნას გასავლელის დაშვებულ მინიმუმთან (90 სმ) დაკავშირებით.

გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

6. მისაწვდომობის შეფასებას;

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მე-**11-თავის** მიხედვით გეგმარების კონცეფციაში არის მითითებული მისაწვდომობის სვლაგეზი, რისი საშუალებითაც შეზღუდული შესაძლებლობების პირებს შეუძლიათ შენობაში შესვლა, სასურველი დანიშნულების სივრცეში შესვლა-გამოსვლა და შენობიდან გამოსვლა. წესების მე-**11 თავის** მიხედვით განსაზღვრულია მისაწვდომი შესასვლელი და ასევე, **მე-17 თავის** მიხედვით განსაზღვრული და მოწყობილი ლიფტი, რომელიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების პირების მისაწვდომობას შენობის ყველა სართულზე.

შენობისვთის განსაზღვრულია ერთი ლიფტი, რომელიც შეესაბამება **მე-17** თავის მოთხოვნებს მათ შორის **1702.4 ქვეთავის** მოთხოვნებს ლიფტის კაბინის ზომასთან დაკაშირებით, ასევე ლიფტი მოწყობილია **909.21.1 ქვეთავის** შესაბამისად, შახტაში მოწყობილია ჰაერის დაწნევის სისტემა და აღჭურვილია დამოუკიდებელი მექანიკური განიავების სისტემით სუფთა ჰაერის ცვლისთვის.ლიფტი უნდა მოეწყოს და აღიჭურვოს წესების **1701.2 ქვეთავში** მითითებული სტანდარტების შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს წესების მე-17 თავით განსაზღვრულ ყველა მოთხოვნას.

შემოზღუდულ ავტოსადგომ გარაჟში მისაწვდომი სივრცეები უზრუნველყოფილიაწესების **1106.1 ცხრილის** შესაბამისად.

სც-2 ჯგუფის დაკავებულობებში მისაწვდომი საცხოვრებელი და საძინებელი ერთეულების მოწყობა განსაზღვრულია წესების **1107.6.2.1.3 ქვეთავის** მიხედვით.

მეორე სართულზე განთავსებულ სავაჭრო ჯგუფის დაკავებულობას, **1104.4 ქვეთავის** მიხედვით, არ მოეთხოვება მისაწვდომი სვლაგეზი, რადგან მისი საერთო ფართობი არ აღემატება **280 კვ.მ-ს** და არსებული სივრცე არის ერთიან მფლობელობაში.

მისაწვდომია შიგა და გარე ყველა სივრცე, რომლებიც მისაწვდომი საცხოვრებელი ან საძინებელი ერთეულის, სავაჭრო და საქმიანი დაკავებულობის ჯგუფის ნაწილია და მისაწვდომ სვლაგეზზე მდებარეობს.

მისაწვდომობის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;

საპროექტო შენობის გარე კედლების ყველა კომპონენტი, კერძოდ, გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი და ღიობების დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია**705 ქვეთავის** მიხედვით და შეესაბამება**705.8 ცხრილს**. მოცემილი დოკუმენტაციის მიხედვით ‘ა-დ’, ‘დ-გ’ და ‘6-2’ ფასადებისთვის ხანძარსაწინააღმდეგო მაქსიმალური მანძილი არის 1,0 მ-მდე, კედლის ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს 2 საათს და აკმაყოფილებს **705.8 ცხრილის** მოთხოვნებს. დანარჩენი კედლების ხანძარსაწინაარმდეგო მანძილი 9 მეტრზე მეტია, რაც **602 ცხრილის** მიხედვით არ საჭიროებს გარე კედლების ცეცხლმედეგობის უზრუნველყოფას.

ცეცხლმედეგ კედლებში ჩასმული ღიობის ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობები (კარები,ფანჯრები) აკმაყოფილებს წესბის **705.8** და **716.5 ცხრილების** მოთხოვნებს ფართობისა და ცეცხლმედეგობის ხარისხის მიხედვით, ასევე **705.8.5 ქვეპუნქტის** მოთხოვნებს ღიობების შვეულ გამიჯვნასთან დაკავშირებით.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი გარე კედლების მოწყობა უნდა განხორციელდეს წესების **1404, 1405, 1406, 1407 და 1408 ქვეთავების** მოთხოვნების შესაბამისად , გარე კედლების საფართან, წვად, ლითონშემცველ და მოსაპირეკეთებელ მასალებთან დაკავშირებით.

გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს

წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

8. სახურავის ანაწყობების შეფასება

სახურავის სტრუქტურის და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის ხარისხის განსაზღვრულია **601 ცხრილის** მიხედვით, კონსტრუქციის ტიპის შესაბამისად. ცეცხლმედეგობის ხარისხი აღემატება IB კონსტრუქციის ტიპისთვის განსაზღვრულ მინიმუმს (1.5 სთ) და აკმაყოფილებს 2 საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს.

შენობის გადახურვის ტიპი არის ბრტყელი (ქანობით მაქს. 5%), გადახურვის ბურულად გამოყენებულია გუდრონის რულონური მასალა და **1507.10 ქვეთავის** მიხედვით აკმაყოფილებს მრავლშრიან სახურავებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს სახურავის ბურულის ხანძრის კლასიფიკაცია, კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით ეკუთვნის **B კლასს (ცხრილი1505.1ა)** სახურავის ხარისხი განსაზღვრულია **1507.10.2 ცხრილის** შესაბამისად და აკმაყოფილებს ASTM D 1227; D 2823; D 4479 ტიპს.

სახურავის მთელ პერიმეტრზე მოწყობილია **705.11.1 ქვეპუნქტის** მიხედვით მოწყობილი პარაპეტით მიუხედავად იმისა, რომ **705.11 ქვეპუნქტის მე-3** გამონაკლისის მიხედვით სახურავის ანაწყობის ცეცხლმედეგობის ხარისხის გამო (2 საათი) შენობას პარაპეტი არ მოეთხოვება.

სახურავზე მოხვედრა შესაძლებელია წესების **1009.16 ქვეთავის** მიხედვით განსაზღვრული მონაცვლესაფეხურებიანი კიბითა და ტერასებზე ამავალი გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეებით.

სახურავის ანაწყობების შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;

საპროექტო შენობაში თითოეული ნაწილი ინდივიდუალურად არის კლასიფიცირებული **508 ქვეთავის** შესაბამისად.

პროექტში წარმოდგენილია ოთხი შერეული დაკავებულობა

1) **სწ-2** (ღია ავტოსადგომი -3,00 ნიშნულზე) და სვ (სავაჭრო ჯგუფის დაკავებულობები) გამიჯნულია 1 საათიანი ცეცხლსმედეგი თარაზული ანაწყობით რაც შეესაბამება **508,4 ცხრილს.**
2) **508,4 ცხრილის** მიხედვით 0.00 და 3.60 ნიშნულზე არსებული **სავაჭრო დაკავებულობები** არ საჭიროებს გამიჯვნას.
3) **508,4 ცხრილის** მიხედვით **სავაჭრო** (0.00 ნიშნულზე) და **საქმიანი** (3.60 ნიშნულზე) დაკავებულობები არ საჭიროებს გამიჯვნას.
4) **508,4 ცხრილის** მიხედვით 3.60, 6.90 და 10.20 ნიშნულზე არსებული **საქმიანი დაკავებულობები** არ საჭიროებს გამიჯვნას.
5) **სქ** (10,20 ნიშნულზე) და **სც-2** (13,50 ნიშნულზე) გამიჯნულია 1 საათიანი ცეცხლსმედეგი თარაზული ანაწყობით რაც შეესაბამება **508,4 ცხრილის** მოთხოვნებს
6) **სც-2** (საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობები 13,50; +16,80; +20,10; +23,40; +26,70; +30,00; +33,30 და 36,60 ნიშნულზე) გამიჯნულია 1 საათიანი ცეცხლმედეგი კედლებით.**(508,4 ცხრილი).** საცხოვრებელი ერთეულები ერთმანეთისგან გამიჯნულია, როგორც ცეცხლმედეგი კედელბით ისე თარაზული ანაწყობებით, რაც აკმაყოფილებს წესების **420.3 ქვეთავის** მოთხოვნებს.

შენობაში არსებული ყველა შახტი, რომლებშიც განთავსებულია საცხოვრებელი ერთეულებისთვის და შენობის სხვა ნაწილებისთვის საჭირო გაყვანილობები, შიგა გასასვლელის გზა-კიბე და ლიფტის შახტი შემოზღუდულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით, რაც აკმაყოფილებს შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **713 ქვეთავის** და **713.4 ქვეპუნქტის** მოთხოვნებს.

ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.

მრავალფუნქციური მაღლივი შენობისთვის, პროექტით გათვალისწინებული დაკავებულობის ჯგუფებიდან, შენობის სიმაღლიდან (მაღლივი შენობა) და გასასვლელი საშუალებებიდან გამომდინარე პროექტი ითვალისწინებს შემდეგი სახის ხანძრისაგნ დაცვის აქტიურ სისტემებს:

ავტოსაშხეფი სისტემა

სახანძრო მილდგარების სისტემა

კვამლის საკონტროლო სისტემა

ხელის ცეცხლმაქრები

სახანძრო განგაშის სისტემა

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით ავტოსაშხეფი სისტემა დაყენებულია მთელ შენობაში წესების **403.3, 903.2.8 და 903.2.10 ქვეთავების** მოთხოვნებიდან გამომდინარე.

ავტოსაშხეფი სისტემა უნდა დაყენდეს წესების **903.3.1.1** და **903.3.5.2 ქვეთავების** მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს NFPA 13-ის სტანდარტის გამოყენებას, თუმცა წესების **102.3 ქვეთავის** მიხედვით შესაძლებელია სხვა ეკვივალენტური სტანდარტის გამოყენებაც.

შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესების **403.4.3** და **905.3 ქვეთავების** მოთხოვნებიდან გამომდინარე საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით მთელ შენობაში გათვალისწინებულია **I კლასის** სახანძრო მილდგარების სისტემა, რომელიც შეესაბამება სახანძრო მილდგარებისადმი წესების **905.3.1-ის ქვეთავის** მოთხოვნებს.

წესების **905.4.1 ქვეთავის** გამონაკლისის შესაბამისად I კლასის სახანძრო მილდგარების სისტემების დგარები და გვერდითი განშტოებები, რომლებიც შემოზღუდული გზა-კიბის საზღვრებში ან ჰერმეტულად დახურულ სივრცეში არ მდებარეობს, შესაძლებელია არ იყოს დაცული ცეცხლმედეგი კედლებით, რადგან შენობა აღჭურვილია ავტოსასშხეფი სისტემით.

მილდგარები ყველა სართულზე განთავსებულია კიბის უჯრედის ნაწილში, რაც აკმაყოფილებს წესების **905.4 ქვეთავის** მოთხოვნებს სახელოს მისაერთებლების მდებარეობასთან დაკავშირებით.

პროექტის მიხედვით კვამლის ავტომატური აღმომჩენი სისტემები შეესაბამება მაღლივი შენობებისთვის განკუთვნილ მოთხოვნებს **907.2.13.1 ქვეპუნქტის** მიხედვით. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მე-9 თავის **907.2.9, 907.2.11.2 და 907.5.2.3.4-ე ქვეთავების** შესაბმისად **სც-2** ჯგუფის დაკავებულობებში, ყველა საცხოვრებელ ერთეულში დაყენებულია სახანძრო განგაშის, ვიზუალური განგაშის შეტყობინების და კვამლზე მორეაგირე მაუწყებლის მოწყობილობები. ასევე, სახანძრო განგაშის სისტემებით უზრუნველყოფილია შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი **(სწ-2)** და სავაჭრო **(სვ)** ჯგუფის დაკავებულობები.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით მითითებული კვამლის ავტომატური აღმომჩენი სისტემები უნდა უზრუნველყოფდეს წესების **907.2.13** და **907.2.14 ქვეთავების** ყველა მოთხოვნას, ასევე **907.2** და **102.3 ქვეთავების** მოთხოვნებს სისტემის მოწყობის სტანდარტთან დაკავშირებით.

1. **კიბის უჯრედები** - საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობაში არსებულ შიგა გასასვლელის გზა-კიბეები უზრუნველყოფილია წესების **909.20 ქვეთავით** განსაზღვრული კვამლის საკონტროლო სისტემით, კერძოდ:
შენობის სიმაღლიდან გამომდინარე, შემოზღუდული შიგა გასასვლელის გზა-კიბეები აღჭურვილია ერთ შემთხვევაში კვამლის საკონტროლო სისტემით, გამოყენებულია ჰაერის დაწნევის სისტემა წესების **909.20.5 ქვეთავის** შესაბამისად, ასევე კიბის უჯრედი აღჭურვილია მექანიკური განიავების სისტემით, რომელიც უზურნველყოფს სუფთა ჰაერის მიწოდებას აღნიშნული სივრცეებისთვის; ხოლო მეორე შიგა შემოზღუდული გზა კიბეს ემსახურება ვესტიბიული, რომელშიც უზრუნველყოფილია ბუნებრივი განიავება. კიბეების დამაკავშირებელი დერეფნები უზრუნველყოფილია მექანიკური განაივების მქონე სისტემით.
2. **ლიფტი** - წესების **909.21 ქვეთავის** მოთხოვნებიდან გამომდიანრე და საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობაში არსებული ლიფტი აღჭურვილია ჰაერის დაწნევის სისტემებით, ასევე მიწისქვეშა დონეზე განთავსებულ შემოზღუდულ ავტოსადგომ გარაჟში **(სწ-2 ჯგუფის დაკავებულობა)** ლიფტი დაგეგმარებულია მექანიკური განიავების მქონე ფოიეებით წესების **713.14.1 ქვეთავების** მოთხოვნებიდან გამომდინარე. საპროექტო შენობაში განთავსებული ყველა კვამლის საკონტროლო სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს წესების **909.19 ქვეთავის** მოთხოვნების სისტემის აღიარებასთან დაკავშირებით.

წესების **906.1 ქვეთავის** მოთხოვნების მიხედვით ხელის ცეცხლმაქრების განთავსებულია, **სწ-2, სქ და სვ** ჯგუფის დაკავებულობებში წესების **906 ქვეთავის** შესაბამისად.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **912-ე** ქვეთვის მიხედვით, საპროექტო შენობის ფასადის კედლებზე, რამდენიმე ადგილას გამოყოფილია ადგილები სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლებისთვის, რომლებიც ემსახურება შენობაში განთავსებულ სახანძრო მილდგარების და ავტოსაშხეფ სისტემებს.

წესების **913 ქვეთავის** მოთხოვნების მიხედვით შენობის მიწისქვეშა სართულზე (-3,00 ნიშნული) გამოყოფილია ოთახი სახანძრო ტუმბოებისთვის და წყლის რეზერვუარის სივრცე.

907.5.2.2 ქვეთავის მიხედვით საგანგაშო ხმოვანი სისტემის საკომუნიკაციო სისტემა დაყენებულია ლიფტთან , ასევე უზრუნველყოფილია **907.6.3.2 ქვეთავის** მოთხოვნები სახანძრო განგაშის და სხვა ტიპის ავტომატური აღმომჩენი ან ცეცხლსაქრობი სისტემების მაღლივ შენობებში განთავსებისადმი.

ასევე გათვალისწინებული არის სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფები და უზრუნველყოფილია **907.4.2** ქვეთავის მოთხოვნები.

911 ქვეთავის მიხედვით შენობაში გათალისწინებულია ხანძრის მართვის ცენტრი სახანძრო სამაშველო დანაყოფის მუშაობისთვის, რომელიც შეესაბამება **911.1.1-911.1.5** და ასევე **403.4.5 ქვეთავის** მოთხოვნებს.სახანძრო მართვის ცენტრის ზუსტი ადგილომდებარეობა უნდა შეთანხმდეს ადგილობრივ სახანძო-სამაშველო დანაყოფთან.

ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების

წესების“ დამტკიცების თაობაზე“). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

11. წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

წყალსადენი სისტემები და ფიქსირებული მოწყობილობები დადგენილია დაკავებულობის ჯგუფების მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს წესების **მე-16** თავის მიხედვით .
1602.1 ცხრილის მიხედვით პროექტით გათვალისწინებული თითოეული დაკავებულობისთვის **(სწ-2, სვ, სქ, სც-2)** დათვლილია წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა და საპროექტო სართულებზე გადანაწილებულია ისე, რომ აკმაყოფილებს **1602.3.2 ქვეპუნქტის** მოთხოვნას ტუალეტების მდებარეობასა და მათთან მისასვლელ ბილიკის სიგრძესთან (150 მ) დაკავშირებით.

ასევე, უნდა აღინიშნოს რომ **1602.3 ქვეპუნქტის გამონაკლისის** მიხედვით შემოზღუდულ ავტოსადგომ გარაჟში **(სწ-2)** საზოგადოებრივი მოხმარების ტუალეტების განთავსება საჭირო არ არის.

წყალსადენი სისტემების და ფიქსირებელი მოწყობილობების აუცილებელი მისაწვდომი საერთო რაოდენობა სწორად არის დადგენილი **1109.2 ქვეპუნქტის** მიხედვით.

წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

- **დასკვნა**

ზემოთ აღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქ.თბილისში, ბ.ხმელინცკის ქუჩაზე (საკადასტრო კოდი 01.17.11.027.073) საპრეოქტო მრავალფუნქციური მაღლივი შენობის არქიტექტურული დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები", ასევე ვადასტურებ, რომ დოკუმნტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო ყველა საჭირო ინფორმაციას.
საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი: ოთარ სულაბერიძე

ხელმოწერა. 

თარიღი : 14.03.2018

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
TBILISI STATE ACADEMY OF ARTS

№07/19-2611 30 01 2012

ცნობა

ოთარ სულაბერიძე 2007 წლის 28 სექტემბრის N012 ა-ს/ბ ბრძანების საფუძველზე ჩაირიცხა თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის ბაკალავრიატის I სემესტრში. 2011 წლის 19 აგვისტოს N140 ს/ბ ბრძანების საფუძველზე დაამთავრა ოთხწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის სრული კურსი და მიენიჭა არქიტექტურის ბაკალავრის კვალიფიკაცია. დიპლომის გაცემა მოხდება არაუგვიანეს 2012 წლის 30 მარტისა.

ხარისხის მართვის
სამსახურის უფროსი ნ. ღაღანიძე

საქართველო, 0108 თბილისი, გრიბოედოვის ქ. 22, ტელ: (+995 32) 2936 959, ტელ/ფაქსი: (+995 32) 2934 665
22 Griboedov str, 0108 Tbilisi, Georgia, tel: (+995 32) 2936 959, tel/fax: (+995 32) 2934 665, www.artacademy.edu.ge

upf. Universitat Pompeu Fabra Barcelona

The Rector awards this

Master in Metropolis. Master in Architecture and Urban Culture

to

Otar Sulaberidze

having successfully passed the assessment tests foreseen in the corresponding programme and a total of 60 ECTS credits
academic year 2011 - 2013

Barcelona, September 30, 2013

Interested party

Rector

Academic Management

Director General of the Continuing Education Institute Private Foundation

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N170682993
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	20.06.2017 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის ასლის დამოწმება
ნოტარიუსი	ციური ბერიძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N 68.
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2-23-08-90.
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	06457649080717

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18



შენიშვნა: საბუთს დამცავ ფონად გასდევს უნივერსიტეტის ლოგო

უნივერსიტეტის ლოგო

Pompeu Fabra-ს უნივერსიტეტი

ბარსელონა

რექტორი აჯილდოვებს

ოთარ სულაბერიძეს

მეტროპოლისის, არქიტექტურისა და

ქალაქმშენებლობის მაგისტრის აკადემიური ხარისხით

მან წარმატებით ჩააბარა შეფასების ტესტები (გამოცდები), რომლებიც გათვალისწინებული იყო შესაბამისი პროგრამით და ჯამში 2011-2013 სასწავლო (აკადემიური) წლების განმავლობაში მოიპოვა 60 ECTS კრედიტი.

2013 წლის სექტემბერი, ბარსელონა

დაინტერესებული მხარე

რექტორი ხელმოწერილია

აკადემიური მმართველობა ხელმოწერილია

უწყვეტი განათლების ინსტიტუტის კერძო ფონდის გენერალური დირექტორი ხელმოწერილია

თარჯიმანი: ირმა ჯაფარიძე



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N170683017
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	20.06.2017 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ციური ბერიძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N 68.
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2-23-08-90.
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	72191971171417

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

20.06.2017 წელს, საქართველო, თბილისი, ი.ჭავჭავაძის 68, ნოტარიუსი ციური ბერიძე, ვამოწმებ ჩემთვის ცნობილი თარჯიმნის ირმა ჯაფარიძის (დაბ. 18.03.1969 წელს, პირადი № 01011070620, ინგლისური ენის შემსწავლელი ცენტრი »-ს მიერ 2015 წელს გაცემული ინგლისური ენის სერთიფიკატი) ხელმოწერის ნამდვილობას თარგმანზე ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე, რომელმაც ჯეროვნად იცის ენა და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს.

20.06.2017, Georgia, Tbilisi, #68 I. Chavchavadze Ave.I, a notary Tsiuri Beridze, Tbilisi, certify the authenticity of the signature of the translator Irma Japharidze (born 18.03.1969, personal № 01011070620, Certificate Of English Language Learning Centre issued on 2015), who is duly authorized to translate from English into Georgia and who witnesses to the accuracy of the translation.

გადახდილია ნოტარიუსის სახლაური თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახლაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ დადგენილების (საფუძველი: 29.12.2011 წლის საქართველოს მთავრობის დადგენილება №507) 31-ე მუხლის მე-3 პუნქტისა–2 ლარი და რეგისტრაციის საფასური -2 ლ 39-ე მუხლის I-ლი პუნქტისა, დღგ-0.36 ლ. სულ გადახდილია: 4.36 ლ.

Notary duty paid for notary services according to provisions about payment for notary actions provided for by resolution № 507 passed 29.12.2011 by Government of Georgia about Notary Chamber of Georgia "Payments Regulations and Terms of Services Rendering" (Article 31, paragraph 3), - 2 L. and fees for a notary act registration according- 2 L. 39 to paragraph 1 of Article, VAT-0.36, total fees paid: – 4.36 L.

ნოტარიუსი ც. ბერიძე
Notary Tsiuri Beridze

თბილისი, გ. ტაბიძის ქ. 3/5,
ტელ/ფაქსი: (99532) 2915254
Email: <info@artstudio.ge>

3/5, G. Tabidze st, Tbilisi, Georgia
Tel/Fax: (99532) 2915254
Email: <info@artstudio.ge>

31.05.2017

ც ნ ო ბ ა

ეძლევა მოქალაქე ოთარ სულაბერიძეს (პირადი No 01008047000) მასზედ, რომ 2010 წლიდან დღემდე, ის მუშაობს შპს "არტსტუდიო-პროექტში" არქიტექტორის თანამდებობაზე.

ცნობა ეძლევა დანიშნულების ადგილზე წარსადგენად.

ირენე სკალვინი

შპს "არტსტუდიო-პროექტი"-ს დირექტორი